21 აპრილს (3 მაისს) 1867.

№ 16.

მეორე წელიწადი.

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: ერთის წლისა — 7 მან. ნახევრის წლისა — 4 — სამის თვისა — 2 — 50 კ.

გაუგზავნელათ: — — — 6 მან. — — — 3 — 50 კ. — — — 2 —

ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.

„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევობით.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გოლოვინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.

რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

შინაარსი: მმართებლობის განკარგულება: მამულების გამიჯვნაზედ. ნამესტნიკის მიწერილობა ტფილისის გუბერნატორთან. პოლიტიკა: ფრანცია. — ტელეგრამმები. ნაცრით ვაზის ავათმყოფობის მორჩენა. — სახაზინო და კერძობითი განცხადება. ბიბლიოგრაფია. ფელეტონი: რამოდენიმე სურათი ჩვენის ხალხის ცხოვრებიდამ. ლექსები: ახალი წელი.

### განცხადება.

მეშვიდე მეჯევის კომმისია მომავალს მაისს დაიწყებს თავის მოქმედებას თელავის უეზდში და იმავე უჩასტკაში. კამისია მაისიდამ განაგრძობს შინაურს გამიჯვნას და გაყოფას მამულებისას ქისტაურისას, ობოლიძესას, რჩეულეთისას, ზემო-ხოდაშენ-ახშნისას, ხორხელისას, ოჟიოსას, ბაიხოსას, კოლოთოსას ჯალანისას, ალავერდისას, ზემო-ხოდაშენისას, სახელმწიფოს და ფილოტეის მონასტრისას, აწყურისას, რუის-პირისას, იყალთოსას, ახატელის და ორტოზანისას; გარდა ამისა შემოუვლის გარეშემო მიჯნებს სოფლის წინანდლისას. ამისთვის მეჯევის კომმისია უმორჩილესად სთხოვს იმ პირთ, რომელთაც აქვთ საკუთრება, ან მონაწილეობა იმ მამულებში, გამოცხადდნენ კამმისიაში, ან გამოგზავნონ დასაცველათ თავის საკუთრებისა ვექილი კანონიერის რწმუნების წერილით.

### მისის იმპერატორების უმაღლესობის,

დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკისაგან დამტკიცებულის პლანით მამულების გამიჯვნის წარმოებაზედ, წლევანდელს წელს გამიჯვნა მოხდება რვა მეჯევის კამმისიით ამ ნაირად: პირველი კამმისია განაგრძობს მამულების გამიჯვნას გორის უეზდში, ხიდისთავის უჩასტკაში, წინარეხის მამულიდგან დაწყობილი დასავლეთით მტკვრის და საწკეპლის (ე. ი. დიდ-გორის) მთის შუა. — მეორე კამმისია შეუდგება დავების გათავებას, რომელნიც აღმოჩნდნენ გამიჯვნის დროს იმ მამულებისა, რომელნიც მდებარებენ ვერის წყლისა, დიღმის წყლისა და ალგეთის სათავეებში და ეგრეთვე ხრამის წყლის ხეობაში. — მესამე კამმისია შეუდგება გათავებას დავებისას, რომელნიც აღმოჩნდნენ გამიჯვნის დროს მამულებისა, დუშეთის უჩასტკაში, არაგვის წყლის გაღმა-გამოღმა, და აგრეთვე გაჰყოფს ზოგიერთ მამულებს, რომელნიც მდებარებენ ზემოხსენებულ ადგილებში. — მეოთხე კამმისია დაიწყობს გამიჯვნას მამულებისას, რომელნიც მდებარე არიან აღმოსავლეთის მხრით, სართაჭალის უჩასტკაში, სიღნაღის უეზდის მიჯნამდე. — მეხუთე კამმისია განაგრძობს გამიჯვნას მამულებისა ბორჩალოს უჩასტკის, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს მაშავერის წყლის შეყოლებაზე. — მეექვსე კამმისიამ უნდა გაათავოს გამიჯვნა ბორჯომის მამულებისა და დაიწყოს გამიჯვნა მიწებისა და ტყეებისა, რომელნიც მდებარე არიან ქუთაისის გუბერნიაში, ახალციხის უეზდში, აწყვერის და ქვაბლიანის უჩასტკებში. — მეშვიდე კამმისია განაგრძობს მამულების გამიჯვნას თელავის უეზდში, თელავის უჩასტკაში და მერვე ამავე უეზდის ყვარელის უჩასტკაში.

ზაკავკასიის მეჯევის პალატა, მოიყვანს რა ამ საგანს საზოგადო ცნობაში; ამასთანავე გამოაცხადებს, რომ გამიჯვნა დაიწყება აპრილში, და 60-64 მუხლების ძალით უმაღლესად დამტკიცებულთ წესდებულებათა ზაკავკასიის მხარის გამიჯვნაზე, ყველა მამულების პატრონები და უწყებანი ვალდებულ არიან თვითონვე ადევნონ თვალ-ყური შემდეგ მამულის გამიჯვნის წარმოებასა უეზდში და მიახლოებასა იმათ მამულთან; ეს ამისთვის, რომ რაკი კამმისია მიახლოვდება იმათ სამზღვარსა, მზათ იყვნენ არა თუ უჩვენონ ჯეროვანი სამზღვრები მამულებისა, არამედ დაამტკიცონ კიდეცა, ვინიცობაა დავა აღმოჩნდეს, თავიანთი სიმართლე ყოველ-გვარის კანონიერის საბუთებითა.

ამისთვის მამულის პატრონები მოვალენი არიან: პირველად, კამმისიის მისვლის დროს, ან თვითონ იყვნენ გასამიჯნავ მამულზე, ან გამოგზავნონ საკუთარი პოვერნია; მეორედ, მზათ ჰქონდეთ ყველა ნასყიდობის წერილები და დოკუმენტები, რომელითაც დამტკიცდება საკუთრება მამულისა დაწესებულს სამზღვრებს შორის, თარგმანებით თურთ და კოპიებითურთ დოკუმენტებისა და ჩააბარონ იმათ, ვისაც მინდობილი აქვთ მიჯნების ჩვენება; მესამედ უნდა მიჯნაზედ გამოსცხადდებოდნენ

### რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდამ.

II.

„ამბობენ თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას! . . . .
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია;
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

რამდენიმე სურათი.

„დაჰკარით, დაჰკარით მაგ წუწკის შვილს, დაჰკარით რაც ძალა და ღონე გაქვთ, ნუ დაზოგავთ, ნურსად დაარიდებთ მაგ საძაგელსა..... ეგ რას ეყოფა!. ჰა, პურს კარგა სჭამ, მუშაობაში გეძინება, შე პირ-შავო, — უყვიროდა ერთი ოსტატი დუქანში თავის შაგირდებსა, კვირა დილით და თანაც ეშველებოდა ერთი დამნაშავე შაგირდის გაბერტყაში. შაგირდებმა ცხადათ იცოდნენ, რომ დღეს თუ ხვალ ეს დღე იმათაც დაადგებათ და ამიტომ არ იმეტებდნენ ერთმანერთს ცემაში; ოსტატი კი ძალიან კარგ დროს იპოვნიდა ხოლმე, რომ ყველა შაგირდების ჯავრი ამოეყარა. როდესაც ამხანაგები ერთ თავის ამხანაგთაგანსა სცემდნენ, ის მაშინ იმ დროსვე ყველა შაგირდებსა სცემდა, ვითომ აქეზებდა და უყვიროდა: „მაგრა დაჰკარითო“.. ამხანაგებმა რომ გაათავეს წკეპლებით ცემა, ახლა საკუთრივ თითონ ოსტატმა დაიწყო ჰავლაბრული მუშტებით და კუკიური წიხლებით შაგირდის ზელა. ჩვენი ქალაქის ბიჭის წიხლისაგან ღმერთმა ყოველი ქრისტიანი დაიფაროს, — ერთი ციდა დალურსმული ქუსლები უთუოთ გაჰხვრეტს, რასაც მოხვდება, მაგრამ, ღვთის მადლით, ამას იმისთანა წაღები ეცვა, რომ ქუსლები სულ დაცვივნული ჰქონდა, თუმცა ოსტატი მეჩექმე იყო; ხომ სულ ასეა, მკითხველო, მექუდეს კარგი ქუდი არა ხურავს, მკერვალს კარგი ჩოხა, მეწაღეს — წაღა, ბევრი ქართველი მებაღე ვიცი, ზაფხული ისე გაივლის, ყურძენს არა სჭამს.... ახლა ისიც მოიხსენეთ, რაზედ დასაჯა ასე სასტიკად შაგირდი. წინა ღამეს ოსტატს ჩაებარებინა რამდენიმე ოცი პატარ-პატარა ჩხირები (შპილკები), უნდა დაეთალა, წაღებში ჩასარჭობად და ამ უბედურს, ორმოციოდე რომ გაეთალა, ძილი მოსვლოდა, და მძინარეს თავზედ წასდგომოდა ოსტატი. მზათ დათლილს, უკეთესს, ძალიან იაფათ ჰყიდდნენ, მაგრამ ოსტატი იძახდა, შაგირდებს ტყუილათ პური რათ ვაჭამო, ის კიარა თუ ორი იმტენი სანთელი იწოდა მუშაობის დროს. კარგი ანგარიშის ოსტატი ყოფილა! აი ჯაბრმა რა იცის: საკუთარს სარგებლობას ავიწყებინებს, ოღონდ სხვა დაიტანჯოს, იმუშაოს, ეწვალოსო!....

ოსტატოჯან, მაპატივე, — ყვიროდა შაგირდი. ოსტატმაც თავი დაანება ამ სიტყვებითა: შენი ილბალი, რომ არა მცალიან, ვანქში მივდივარ წირვაზედ, ჯერ უნდა გავენდო, საზიარებელი ვარ, თორემ შენ გაჩვენებდი თამაშასა, ვაი შენს ტყავს თუ სადილობამდის სულ არ დაგითლია.... შაგირდი მაშინვე ტირილით სამუშაო სტოლს მოუჯდა, იმ-დღევანდელიც ახსოვდა — თავქვე ფეხებით რომ დაჰკიდა....

ხახატო (*) (შაგირდის მეტი-სახელია) იყო თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა, თავჩალუნული, ცინგლიანი, მხრებ ამოშვებული, თითქმის კუზიანი, ბეცი მეტი-მეტის ღამის-ტეხისა და ჩაცქერისაგან კერვაში, ხშირათ პირის სახე წამოუჯდებოდა და ჭარხალსავით გაუწითლდებოდა ხოლმე სისხლის მოწოლისაგან, ხელები დამონავებული, დ ჩხვლეტილი სადგისისაგან, ფჩხილები დამტვრეული, გრძელი და შავი ჭუჭყით დატენილი, ხელები და ცხვირ-პირი გამურული ვაქსითა და სანთლის მურითა. ტანზედ გაშავებული და გაყვითლებული სამოსლის პერანგი; ზევიდგან მარტო ძველი ახალუხის კანძოლი. ნიფხავი ტილოსი, ჭუჭყისაგან ფერ დაკარგული . . . . . . მთელი ტანი ასეთივე ჭუჭყიანი, მეტადრე კისერი და ფეხები; თავი ხომ სათქმელი აღარ არის: წვივებზედ, რომლებიც ნახევრამდის ტიტველები ჰქონდა ნიფხვის სიმოკლის გამო და ფეხის თათზედ რომ შეგეხედნათ, გაგიკვირდებოდათ: რა ანდამანტის ძალას მიუკრავს ეს ამოდენა ჭუჭყი ამ ცხოველის კანზედა ასე მაგრად და მჭიდროდ, რომ არა სცილდებოდა. ფეხის თათი სულ უჯრა უჯრა იყო დახეთქილი და შიგნიდგან წითელი ხორცი გამოჰკვიროდა, ბევრით მოაგონებდა კაცს ტბასა, ზაფხულში რომ დაშრება და სიცხისაგან რიყე დასკდება; — ერთი რაღაც ჯღანი ყელ და ქუსლ დაჭრილი წაღები წამოეცო ამ ნაზ ფეხებზედ. მკითხველო, ახლა ფეხებიდგან გადავხედოთ თავზედ, რომელსაც უწოდებენ ძველადვე უკეთილშობილეს წევრად, ანუ ასოდ ადამიანის გვამში, რადგანაც სულის ტახტი აქ უდგასო, მის შესაფერს პატივსა სცემს კაცი ამ პატიოსან ქონებას თუ არა?... პირველი შეხედვითვე რომ არცკი დაშტერებიყავით, თქვენი თვალი შენიშნავდა, რომ „მუნ ადგილსა გრილსა და მწვანილოვანსა“ ალმადალმა დიდის წყობით მისეირნობდნენ და დას-დასობით მიეშურებოდნენ სანადიროთ ის ერთგულნი და შეუძლებელნი, ხალხთაგან განუშორებელნი მეგობარნი — მხეცნი, რომლების სახელის ხსენებაც არ არის მწიგნობრობაში მიღებული; ღვთის წინაშე, ღირსნი კი არიან, რომ იხსენებოდნენ! ხუმრობა გაშვებით, საწყალი ხალხის ამ გვარნი შემაქცევარნი ხალხთ მატიანებში არ უნდა ივიწყებოდნენ; იმათი რიცხვი ცხადათ უჩვენებს ხალხის კეთილ-დღეობის ხარისხს, ჰდესა... ახლა ამ მაღალ ფარდებზედ რომ არ ვალაპარაკო ჩემი ჩონგური ამ გვარ მდაბალ საგანზედ, აი რა ნაირ მდგომარეობაში აქვს თავი ამ მეჩექმის შაგირდისა. კისრიდგან შავყვეთ: კისერზედ მართლა რომ იტყვიან „ხელის სისქე ჭუჭყი ადევსო, ამ შაგირდზედ მეტი არ იქმნებოდა ეს სიტყვები. ამასაც იტყვიან ქართველები: კისერზედ რომ ფეტვი დასთესო, — ამოვაო“; არც ეს იქნება ჭარბი. თავში უფრო სქლათ იყო დაგებული ჭუჭყი, რამდენსამე ნაკეცათ; ტანზედ მუნი და თავში სიქაჩლე არ გამოლევია ამ შაგირდობაში, სამუდამოდ გაიდგა ფესვი, ბოლოს თმა თავის გარეშემოლა შერჩა; შუა გული კინკრიხისა სტკიოდა და შედედებული იყო გაერთებული მუწუკებითა. რასაკვირველია, სავარცხელს ვერ მოიხმარებდა...... ფეხ მარდმა და მუცელ-ზანტმა მხეცებმა ნახეს, რომ მონადირე არავინ იყო ბადითა და მარტო ტყეს არა სჯერდებოდნენ, მინდვრისკენაც გაიფუნდრუკებდნენ ხოლმე. კიდევ მაღალი ფრაზები, — წარბს შეიჭმუჭნის მკითხველი ამ გვარ ჩვეულებრივ საგანზედ. რა ვქნათ, ასე შორს უნდა უაროთ თვით უახლოვესს და თვით უნამდვილესს საგნებს; რაც ერთი სიტყვით ითქმის, იქ იძულებული ხარ — ხუთი სიტყვა სთქვა, კიდევ ისე ვერ გამოხატავ, როგორც რიგია. ასეთ საგნებზედ ვუბედობთ და ვსწერთ, რომლებიც ბრმასაც არ დაემალება, რა ვუყოთ „ასეა ესე სოფელი და ჩვენი ხვედრი“; ნემეცებზედ მწყრალი ბერნე ამბობს: გერმანიაში რომ ეშმაკის გაგდება უნდოდესთო და ნამდვილი საკუთარი სახელი დაუძახო იმ ეშმაკსაო, ისიც კი ღვთის გმობათ მიაჩნიათო“.. იმასაც ნუ დავივიწყებთ, მკითხველო, ეს გ ე რ მ ა ნ ი ა შ ი ამბობს და ბევრია დედამიწის ზურგზედ იმისთანა განათლებული ქვეყანა, როგორც გერმანია? შენ ეს იფიქრე, იქ რაღა უნდა იყოს!... ბოდიშს ვითხოვ მკითხველთან ლირიკულს დამატებაზედ.... ცუდი ჭირი გჭირსო, მითხრეს.... იქნება, — მაგრამ — „ზოგს მღვდელი უყვარს, ზოგს მღვდლის ჯალაბი“...

აი, ჩემო ბატონო, მეჩექმის შაგირდის პირადი მდგომარეობა. ვისაც ამაზედ უკეთესი ჰგონია იმათი ცხოვრება და ჩემ სიტყვებში ეჭვს შეიტანს, იმან ინებოს შებრძანება მეჩექმის დუქანში ტფილისში და რაც იქა ნახოს, ის იყოს იმის სასჯელი ურწმუნოებისთვის... კმარა... რასაკვირველია, მკითხველო, პირველად ვერ გაიგებ, ვინ არის ეს შაგირდი, მაშინ პატარა იყო, ეხლა გაიზარდა, და მამასავით, წლოვანობასთან ბედმა სიმუხთლეც უფრო და უფრო მოუმატა...

ეს გახლავთ ბლახა ბედკრულაძის ვაჟი, დერცის რომ ებარა, მაშინ სხვა სახელი ერქვა

(*) ხახატოს, ანუ ყაჰაცს ჩვენში თეთრ თმა-წამწამიან კაცს ეძახიან (ალბინოსს). ესეც ისეთი იყო.

უწყებაში დანიშნულს ვადაზე, ანუ ზემლემერების მისვლის დროს იმათ მამულში გამოსაცხადებლად და დასაცველად თავიანთი კუთვნილებისა.

თუ კამმისიის მისვლის დროს მიჯნაზე არ დაესწრობიან არც თვითონ მამულის პატრონები, არც იმათნი პოვერნიები, სამზღვრების საჩვენებლად, მაშინ სამზღვრებს უჩვენებენ მოურავები, მოხელეები და გლეხებისაგან ამორჩეული კაცები, და თუ ესენიც არ გამოსცხადდნენ, მაშინ სამზღვრები უნდა უჩვენონ მამულის მომიჯნავეებმა.

თუ სამზღვრების მაჩვენებელს დავის აღმოჩენის დროს მზათ არ ექნება ყველა დოკუმენტები და სხვა საბუთები, მაშინ დავა გადაწყდება მხოლოდ იმ საბუთების ძალით, რომელნიც იმ დროს თან ექნებათ მოდავე პირთა.

თუ ვინმე უწყების მიღების დროსა ან მეჟევის კამმისიის მისვლის დროს იმის მამულის სამზღვრებზე არ გამოაცხადებს, რომ ის მამული იმას ეკუთვნის, შემდგომ აღარა აქვს ნება ითხოვოს მამულის ხელახლა გამიჯვნა და არც დაბრუნება თავისი მამულისა თუ გამიჯვნის დროს დარჩა სხვასა, რომელმაც თავის დროზე გამოაცხადა თავისი უფლება ამ მამულზე.

---

რწმუნების წერილები, მიცემულნი მამულის პატრონებიდგან შესახებ გამიჯვნის საქმეთა, უნდა დაიწერებოდნენ შემდეგის ფორმითა:

1867 წელსა დღესა, მე ქვემორე ხელის მომწერელი ვაძლევ უფლებასა ამა და ამას (წოდება, სახელი და გვარი), რომ ჩემ-მაგიერად დაესწროს გამიჯვნის დროს ჩემდა კუთვნილთ მიწებთა, მდებარეთა ამა და ამ უეზდში (წოდება უეზდისა), ამა და ამ სოფელში (წოდება სოფლისა): ამასთანავე მივსცემ ნებასა, რომ უჩვენებდეს მამულების სამზღვრებსა, გამოაცხადებდეს დავასა, შეიტანდეს არზებსა, საჩივრებსა და აპელლაციებსა, მოისმენდეს განაჩენებსა, აგრეთვე მოახდენს დაზავებით მორიგებასა და საერთო მამულების გაყოფასა, შეურიგდებოდეს, ამოირჩევდეს შუა-კაცთა და ამორჩეულთ შუა-კაცთა წერილებს ანუ ზაპისკებს და სხვათა აქტებთა მოაწერდეს ხელსა.

ხელის მოწერა მრწმუნებლისა:

ხელის მოწერა მოწმებისა: 1
2

---

მიწერილობა Дидის მთავრისა კავკასიის ნამესტნიკისა ტფილისის სამოქალაქო გუბერნატორთან, 5 აპრილითგან 1867 წ. № 138.

---

ძველ დროთგან ტფილისში დაწესებულან ხელოსანთ საზოგადოებანი (ამქრები), მას აქეთ, რაც აქაური ქვეყანა რუსეთს შეერთდა, ყოფა ამ ხნით და ჩვეულებით დამტკიცებულ საზოგადოებათა არ შეიწრებულა, რადგან იმპერიაშიაც კანონი ნებას აძლევს, რომ ხელოსნები საზოგადოებად (ცეხად) შეერთდნენ, იმ აზრით, რომ შეიმაგრონ და საბოლოოთ დაიცვან სხვა და სხვა ხელოსნობა, გაარჩიონ საქმეები, სახელოსნო შრომის შესახებნი, თვალი ადევნონ ხელოსნობის მარჯვე წარმოებასა, ოსტატების, ქარგლების და შეგირდების ერთმანერთობასა და შემწეობა მისცენ გაღარიბებულ ქვრივთა და ობოლთა,—მაგრამ ეს ყოველივე შეუვიწროებლად ხელოსნისა, რომელსაც ნება აქვს თავის-უფლად წაიყვანოს და მოიხმაროს თავისი შრომა და ნამუშავარი. მაგრამ, ერთის მხრით ეს ამქრები არც როდის არ ყოფილან კანონიერად და სჯულიერად შემდგარნი, და მეორეს მხრით იმათი შინაგანის გამართულობის გაუმჟღავნელობას შეუდგა ისა, რომ ამქრები დაიყვნენ და გამრავლდნენ თავიანთ მდგომარეობის უსარგებლოდ და ამასთანვე საზიანოდ იმ კეთილ-მოქმედების აზრისა, რომელიც განსაკუთრებით მიაქცევდა იმათზედ მმართებლობის თანა-გრძნობასა. წვრილ საზოგადოებად შეერთების აუცილებლობამ, დასაცველად თავიანთ სარფისა,—რომელიც საჭირო იყო უწინდელ დროს, როდესაც საზოგადო გამართულობა გავრცელებული არ იყო მტკიცე საფუძველზედ,—ის აწარმოა, რომ სახელოსნო ამქრებთან და იმათ მზგავსად შედგნენ სხვა და სხვა საქმობის საზოგადოებანი ხუროებისა, კალატოზებისა, მუშებისა, თულუხჩებისა და სხვა ამ გვართა. იმპერიის სჯულ-დადებულობა თუმცა დასტურს აძლევს ამ საზოგადოებებსა, მაგრამ ამქრებისგან განსხვაებულ პირობაზედ და კანონებზედ.—გარდა ამისა ხელოსნების და მუშა-კაცების კვალობაზედ უკანასკნელ დროს შესდგნენ სხვა და სხვა ამქრები გამსყიდველებისა ესე იგი: ყასბებისა, სირაჯებისა, მიკიტნებისა, ბაზაზებისა და სხვათა ამ გვარ პირთა, საქონლის გამსყიდველთა და არ მაწარმოებელთა რომლისამე ხელოსნობის, რომელიც მოითხოვს ვითარსამე ზედა-მხედველობას და ხელ-მძღვანელობას. ამასობაში წარმატებით [illegible]-ბისათვის ალებ-მიცემისა წინა-პირველ საჭიროა სრული დაუმოკიდებლობა თვითოეული პირის მოქმედობისა და მოშორება სავაჭრო ალებ-მიცემობისაგან ყოვლისავე გარეშე მიზეზის ხელ-ქვეითობისა. მხოლოდ ამ დაუმოკიდებლობით ვაჭრისა იმის მოამხანაგეთაგან ერთ-გვარ ალებ-მიცემაში მოისპობა შეთქმულობა და პირის მიცემა, ერთ-ნაირად მავნებელი როგორც ვაჭრობისათვის, აგრეთვე სრულიად მცხოვრებთათვის; და ამის გამო ვაჭართ ამქრები არა რომლისამე სჯულის-დებით არ არიან დაწესებულნი და არ იმყოფებიან არც იმპერიაში არც სხვა განათლებულ ქვეყნებში.

მას აქეთ, რაც მოქმედებაში შევიდა ახალი დებულება ტფილისის საქალაქო გამგებლობაზედ, რომლის საფუძვლითაც ქალაქის საზოგადოებას ეძლევა უფრო ვრცელი თვით გამგებლობა და მონაწილეობა საქალაქო საქმეებში ყველა წოდების მცხოვრებთა, და მათგან თვითოეულს მიენდობა მისი საჭიროების და ქალაქის მცხოვრებთ შუა მდგომარეობის შესაფერი უფლება,—მას აქეთ ყოველნივე განსაკუთრებულნი, დაფარულნი, კერძო საზოგადოებანი უნდა კი შერიცხულ-იყვნენ *უსარგებლოდ* ერთმანერთის სარფის დასაცველად,—რადგანაც ეს სარფა საკმაოდ დაიცვება საერთო საქალაქო დაწესებაების მხრივ, და *მავნებელად*, თუ ისინი შეადგენენ კერძოობითს სარფასა იქ, სადაც უმეტესათ უნდა იყოს საზოგადო სარგებლობა; მაგრამ ამასთანავე არ შეიძლებოდა, რომ მე არ მიმეღო განსჯაში,—პირველად ისა, რომ სახელოსნო ამქართ აქვსთ ცალკე გან-

---

ნათლობისა, და ეხლა ერთს მეტს-სახელს ხახატოს ეძახიან. ბევრი შავი დღე გამოიარა შაგირდობაში სხვა და სხვა ხელობის ოსტატებთან. რაკი ერთხელ საბუდარი აიგდო კაცმა, ვეღარ დადგება შუა გზაზედ; რაკი კაცი ერთხელ იძულებული შეიქნა გამოიცვალოს ცხოვრების ფერი, ადვილათ ვეღარ შეურიგდება და ვეღარ შეეტკბობა თავის ურიგო სვესა!... ჩვენში ყველა ოსტატებმა იციან გრაკლის ჯოხებით ცემა, ხახატოსაც ბევრი ამისთანა მოხვედრია, მაგრამ პირველი ოსტატის, დერციკის მუშტების და წიხლების ჭრუანტელი ეხლაც ისევ დაუვლიდა ხოლმე ტანში, როდესაც მოაგონდებოდა. ყველა ხელობის ოსტატებს თითქო პირობა აქვთ შეკრულიო ერთსა და იმავეს იმეორებდნენ ცემაში: „როღრიალებ კიდეც, თითქოს ჩემი გულისთვის გცემდე, გაიზდები, მადლობასაც მეტყვი, თუ ჰო, მამა ეაცხონე შენი, რომ კაი კაცი იყავ და მცემდიო, იტყვი მერე. ჩვენ შენისთანანი ვიყავით, რომ გვცემდნენ, ეგრე კი არა სულ სისხლს გვადენდნენ, დილითა და საღამოთი, ისე რომ არ ექნათ ეხლა ან მეპოლოსკეთ ვიქნებოდით ან მედოოლეთა, ეხლა კი ვლოცავთ. რაც ბევრს სცემ შაგირდს, უფრო ბევრს ისწავლის: შიმშილიც უნდა მოითმინო, სიტიტვლეც, ლანძღვაც, ცემაც რომ სთქვან, ჰო, გამოცდილია ყველაფერშიო, მაშ არა, და „შენ მკვდარსა აქვს ბარაქადა ცოცხალს გამოლევა“ შენ ეგრე ადვილი გგონია ოსტატობა, დალოცვა, ჰამქარში გარევა!!„.. ბაგდებდნენ ხოლმე სიონის ქუჩაზედ, თულუხჩები რომ ამოდიან ზამთარში მუხლამდის შავ წუმპეში, ფეხშიშველს კოკით, უბრძანებდნენ: წყალი მოიტანე დუქანშიაც და სახლშიაცაო. ამასთანავე ერთხელ სწორე სახელს ან მეტსახელს არ დაუძახებდნენ; სულ ხან თათრულათ, ხან სომხურათ, ხან ქართულათ ლანძღავდნენ, დედმამას უხსენებდნენ ურიგოდ. თუ სახლობა ჰყავნდათ ოსტატებს, ისინი უფრო საქმეს უჭირებდნენ, ილაჯი მიჭქონდათ, ოსტატზედ გადამეტნი ისინი იყვნენ.

მაგრამ ხახატო თითქმის ყველაზედ ძალიან შეაშინეს: ჩუმათ იყავი, თორემ ახლავ პოლიცაში წაგიყვანთო, იქ შენისთანა თეთრკაცებს დაეძებენ, რუსეთში გაგზავნიან და იქ მუმიათ დაგწვენ, მერე ოქროთ გადიქცევიო...

იმასაც მართალი ეგონა და პატარა ხანს კვარტალნებს და დესიატნიკებს ძალიან ემალებოდა, პოლიციის წინ ხომ სულ ვერ გაივლიდა. ერთხელ, რომ ოსტატმა გამოაგდო და ძალიან მოშივდა, კიდეც იფიქრა: მოდი ერთ-ერთ ფეხის თითს მოვიჭრი და დავწვავო, ეგება ოქროთ იქცეს, მართლა და პურს ვიყიდიო, მაგრამ ასრულება ვეღარ გაბედა... იქნება ბევრმა არ დაიჯეროს, რა ნაირ ძრიელათ არის ჩვენში გავრცელებული ეს ცრუ-მორწმუნება! პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მე მიამბო ჩვენ სოფელში ერთმა შუახნის კაცმა, რომ იმის ორ თეთრ-თმიან ძმებს, როდესაც ჯერ არ იყვნენ ცოლშვილიანები (იმათ მეც ვიცნობ, ეხლაც ცოცხლები არიან) დაეძებდნენ აქ, სოფელშიო, უნდა მუმიათ დაეწვათ და ისე ცეცხლის ძალით ოქროთ უნდა გადაედნოთო ეს ჩემი ძმები, მაგრამ დედა ჩემმა ადრევე გაიგო და მოასწრო დამალვა, *გოდორ ქვეშ ამოსხაო*. ეს ბევრსა სჯერა დღესაც ჩვენში...

რაკი დერციკიდან გამოვიდა ხახატო, აღარსად მოაკიდებინეს ფეხი, ორი კვირა დაჰყობდა თუ არა ახალ ოსტატთან, ისიც მოტყუებით, ჯერ არსად ვყოფილვარ შაგირდათაო, ამბობდა; საიდგანაც არიყო, გამოცხადდებოდა ძველი ოსტატი და წაიდავებოდა თავის ნაშაგირდალს; რასაკვირველია, ამქრობის კანონების ძალით არავის არ შეეძლო სხვის ნაშაგირდალი მიეღო, ძველი ოსტატის ნების-დაურთველად. ამ გვარად ხახატოს ყველგან გასწყვეტდნენ, მოტყუებისთვის უფრო, და ისე გააგდებდნენ ხოლმე. თითქო „დიდებაზედ“ დადისო, თითქმის ყველა ხელობის ოსტატების მუშტების გემო გაიგო და ბოლოს ამ მეჩექმის ხელში ჩავარდა.

ერთ სარდაფში, ღრმა, ბნელს, ტენიან ოთახში, ცოტა ხანს ვერავინ მიაგნო, განუწყვეტლივ დღე და ღამ (თუ სამი საათი ეძინა დღე-ღამეში დიდი ქება არის) აკაკუნებდა ჩაქუჩს და რაღასაც აჯღანებდა, სწავლობდა კერვასა. აყვანილი შაგირდათ იყო იმ პირობით, რომ ჩქარა უნდა მიხვედრიყო კერვის ხელობასა; ამასაც უნდოდა ნიჭი და მუყაითობა გამოეჩინა, ამიტომ ბევრი ღამე გაათენა თეთრად... მეჩექმეები მაინც ღამურებისავით სხედან და საქმობენ, მაგრამ ამან ყველას გადააჭარბა. თუ ოსტატი დაატყობდა სწავლას, ახალ ნიფხავპერანგს დაპირებული იყო, უნდა ეყიდნა,—ამის ლოდინში, მუშაობაში თავის მოვლისთვის აღარ სცალოდა, ან რით მოუვლიდა?. ერთი სავარცხელი არ ჰქონდა თავი ჩამოევარცხნა, (*) ოფლით სულ შემოალპა ტანზედ ნიფხავ-პერანგი, მუნმა და ქეცმა დაიბუდა იმის ტანში, ზედაც სიქაჩლე დაერთო; მეტი ძალა დატანებით, ღამისტეხით, მოკუზული ჯდომით ჯანი გაიტეხა, უნდოდა ოსტატისთვის ეჩვენებინა თავის ბეჯითობა, რომ ერთი ახალ ნიფხავ-პერანგი მაინც ჩაეცო; ამისმა მოლოდინმა კინაღამ თან გადიტანა, ახლო აღარავინ უდგებოდა, ცოცხალი-მძორი შეიქნა......

ღმერთმა უშველოს, ერთი ღვთის ადამიანი გამოუჩნდა: იქვე გვერდზედ ბებერი დედაკაცი იდგა, იმას ძალიან შეეცოდა ეს სიქაჩლისა და მუნისაგან დაფქული ბიჭი; გაურიგდნენ ერთმანეთს, რომ ერთ წელიწადში რაც ძველ ჩუსტებს, ქოშებს, ბათინკეებს და სხვ. მოუტანს ბებერი დასაკერებლათ,—სულ მუქთათ უნდა გაუკეთოს, ოღონდ იმან ამ ფულში უწამლოს, რომ მუნისა და სიქაჩლისაგან განთავისუფლდეს. აქიმმა დედაკაცმა ბევრი აღარ დააცადა,—ტანზედ რაღაც გოგირდი გაუგლისა და თავზედ ფისი გადააკრა. მართლა, რომ საცოდაობა იყო ფისის მოშორება ამ ბიჭის თავიდგან. ცოტა გულჩვილი ადამიანი თვალს ვერ გაუსწორებდა ამის, სახედრის ზურგისავით, მოღლეტილ თავს; ყურებში თითი უნდა დაეცო კაცსა იმის კივილზედ ფისის მოძრობის დროს. მეჩექმემ სახლში აღარ შეუშო, სხვებსაც გადასდებ შენ სატკივარსაო, ამდროს შაგირდი ბებრის სახლის დერეფანში იწვა,—ეს გახლდათ, თუ მოგეხსენებათ, მკითხველო, ჩვენ ნამდვილ, ძველ, ქართულ ტფილისში,—ანჩის—ხატის უბანში, ერთ დაძველებულ გვერდზედ წამოწოლილს ქოხში. არც აქ მოასვენეს უბედური. ვერც აქ დაჰყო ბევრი ხანი: მეჩექმეს დიდიხანია უნდოდა თავიდგან მოეშორებინა ეს შაგირდი და ეხლა შემთხვევით გაიგო, რომ სხვასაც ჰბარებია,—შაგირდის პირით შაუთვალა ხახატოს, რომ იმის დუქანში ამას იქით ბინა აღარა აქვს, ვითომ იმ მიზეზით, რომ იმის წინათ სხვა ოსტატს ჰბარებია....

შენს მტერს მოსწყდეს ისე წელი, როგორც ხახატოს ამ ამბავმა წელი მოსწყვიტა, აქამდინ თითო შაური ეძლევოდა ოსტატისაგან პურის ფული და ეხლა ისიც მოაკლდა.

ბებერმაც იმედი ვერა მისცა რა, თითონაც არა ჰქონდარა და იმას რას აჭმევდა, გამოაცხადა: შვილო, შენი შანახვისა და წამლობის თავი არა მაქს, თავს უშველე, ჩემებიც შიმშილით მეხოცებიანო... აიღო გუდა-ნაბადი ხახატომ, რაც ძველ-მალი სათბუნებელი ჰქონდა ზედ წამოისხა და გამოვიდა ქალაქის ქუჩებში, რომ თავის შესაფარებელი და მოსასულიელებელი ეშოვნა სადმე, რომ შიმშილით და სიცივით სული არ ამოსძრომიყო...

(შემდეგი იქნება).

---

(*) იქნება მკითხველს გაუკვირდეს, კაცი არ იქნება სავარცხელის შოვნა არ შეეძლოსო.—ჭეშმარიტ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ,—მაგისთანა საწყალ ხალხს ას—ასობით დასთვლით, თუ ყურს უგდებთ...

სხვაებული დაწესება—თვალი ადევნონ ხელობის მარჯვე წარმოებასა და დაიცვან თავიანთ მუშტრები იმისთანა კაცთაგან, რომელთაც ხელობა არ იციან და არც აქვთ საკმაო გაკუთვნილი საქმითი დახელოვნება; მეორედ, იმ ამქრების ყოფა დამტკიცებულია საზოგადო სჯულის-დებით, რომლის ძალითაც აქამომდე იმყოფებიან ხელოსათ ამქრების მსგავსნი სახელოსნო ცეხები; მესამედ, საქალაქო საზოგადო გამგებლობაში (უპრავლენიეში) არ არის საკუთარი დაწესებულება დასაცველად ხელობის სარგებლობისა; მეოთხედ შეუძლებელია, რომ სამაღლო აზრმა მზრუნველობისა ქვრივებზედ და ობლებზედ არ მიიზიდოს გულითადი ყურად-ღება მმართებლობისა, რომელიც ყოველთვის ზრუნავს ყოველთ საჭიროებისათვის.

ამისთვის ვრაცხ შესაძლებელად და სამართლიანათ, რომ ერთს და იმავ დროს იმყოფებოდნენ სახელოსნო ამქრები და ახლად მოქმედი საქალაქო გამგებლობა, და მასთანვე მე საჭიროდ დავინახე, რომ ამ დაწესებამ დაიჭიროს შესაფერი, ცხადი და უსაცილოდ განსაზღვრული ადგილი საქალაქო დაწესებათ შუა, რომ იმის საკუთარი გარიგების კანონებმა, ძველებურ ჩვეულებაზედ დაფუძნებულთა, მიიღონ სჯულიერი დამტკიცება და იყვნენ შეთანხმებულ იმპერიის ერთ-გვარ კანონებთან, და ეს შეთანხმება უმჯობესის სახით ეფერებოდეს იმასაც, რაც ძველადვე-შემდგარა, და იმასაც, რასაც მოითხოვს ეხლანდელი საზოგადო ცხოვრების საჭიროება. ამ განზრახვით და მოსაყვანელად არსებაში ზემოთქმულ სამ-ნაირის აზრისა, შესდგა ჩემის ბრძანებით წესდება სახელოსნო ამქართათვის ტფილისში, რომელიც დავამტკიცე რა ამავე რიცხვსა, წარმოვგზავნი თქვენთან ჯეროვნად გამოსაცხადებელად და აღსასრულებელად. მე იმედი მაქვს, რომ ყოველნივე გამოურიცხველად პირნი ტფილისის სახელოსნო ამქართა ჯეროვანის მადლობით მიიღებენ ამ ახალს საბუთს მმართებლობის ყურადღებისას იმათ საჭიროებაზედ და ჩვეულობაზედ.

ამასთანავე ჩემ მიერ დამტკიცებულია სია სახელოსნო ცეხთა (ამქრობათა), რომელნიც ამას იქით შეწყნარებულ იქნებიან როგორც სჯულიერად დაარსებულნი; მე დავინახე აუცილებელად, რომ უკანასკნელ დროს დაყოფილნი ერთ-გვარნი ხელობაები შეერთდნენ, იმ სურვილით რომ ერთ-ნაირმა მუშაობამ შეაერთოს ერთ-ნაირივე სარგებლობა; ამით ისინი მოიპოვებენ უფრო მომატებულ უდარდელობას თავიანთ მდგომარეობაზედ და მომატებულ შეძლებას კეთილ საქმეში. მმართებლობა ერთ-ნაირად ზრუნავს ყველასთვის გამოურიცხველად და განურჩეველად ხალხის თვისებისა და ჩამომავლობისა იმ სურვილით, რომ ერთი და იგივე გრძნობა ერთ-სულობისა უძღვიდეს მოქმედებაში თვითოეულ პირს ერთისა და იმავე სახელოსნო საზოგადოებისა.

შესახებ იმ საზოგადოებათა, რომლებისაც მუშაობა პირ და პირ არ ემსგავსება ხელოსნობას,—ესე იგი: ხუროებისა, კალატოზებისა, ქვის მჭრელებისა, თულუხჩებისა და მუშებისა,—მივიღე სახეში, რომ საერთო სჯულისდებულობა ამისთანა საქმის მაწარმოებელთ დასტურს აძლევს შეადგინონ ცალკე საზოგადოება (არტელი), იმ აზრით, რომ ან შეერთებული შრომა გასწიონ ან ერთმანერთს შეეწივნენ, და ამის გამო მე დავინახე შესაძლოდ, რომ დრომდის, სანამ ცალკე წეს-დება გამოიცემა, ის ამქრები დარჩნენ აწინდელ მდგომარეობაში, მხოლოდ იმ პირობით, რომ სახელოსნო ცეხების მსგავსად ერთ-გვარნი საამქროები შეერთდნენ და ამოირჩიონ თავიანთთვის ერთი საზოგადო უსტაბაში, დაემორჩილნენ საერთო სახელოსნო უპრავასა და თავიანთ საზოგადო საქმეების გარიგებაში არ აიცილონ ის კანონები, რომელნიც ეხლა გამოცემულ არიან სახელოსნო ცეხთათვის. სია ამ სამუშაო არტელებისა (ამქრებისა) ამასთანავე იგზავნება.

დასასრულ, შესახებ იმ სავაჭრო და აღებ-მიცემის ამქართა, რომელნიც შემდგარან უფრო ახალ დროს, ესე იგი: ყასბებისა, მიკიტნებისა, სირაჯებისა, ბაზაზებისა და სხვა ამათ მსგავსთა,—მე მივიღე ყურადღებაში, პირველად, რომ მოვაჭრე წოდებას ჰყავს ახალ საქალაქო საზოგადო გამგებლობაში (უპრავლენიეში) ისეთი საკმაო და სხვაზედ დაუმოკიდებელი რიცხვი წარმომადგენელთა, რომ საზოგადო იმ წოდების სარგებლობა სავსებით და მკვიდრად არის დაცული; მეორედ, ყოფნა დაფარულთ წვრილ მოვაჭრე საზოგადოებათა არ არის საჭირო არც ერთმანერთის შემოწმებისათვის, არც სარგებლობისათვის ვაჭრობისა და აღებ-მიცემისა, რომელიც მოითხოვს სრულ ხალვათობას პირ და პირის საკუთარი თაოსნობისას; არც მცხოვრებთ სარფისათვის, რომელიც დაიცვება უფრო მიმბაძველობის თავის-უფლად გავრცელებითა, რადგანაც ესრეთი მიმბაძველობა ნამდვილად და უმჯობესად გაადვიძებს მარჯვე ვაჭრობასა და საქონლის ფასსაც ყველასთვის შეამსუბუქებს. ამისთვის არა ვრაცხ არც საჭიროდ, არც შესაძლოდ მივცე ვითარიმე კანონიერი დაწესება იმ სავაჭრო და აღებ-მიცემის ამქართა, რომელნიც ეხლა-ხან და თავიანთ ნებით შემდგარან; და თუმცა არა ვპოვებ განსაკუთრებულ ალაგსა საქალაქო დაწესებაებში ამისთანა საზოგადოებათათვის,—მაგრამ მაინც შეუძლებელია, რომ აქაც არ დავაფასო კეთილ-მოქმედებითი საგანი, რომელიც წარმოსდგება სხვა და სხვა პირთ და საშუალობის შეერთებითა, შესაწევნელად ღარიბთა, ქვრივთა და ობოლთა; ესრეთი საგანი არ დააბრკოლებს არც საერთოსა და არც კერძოობითსა კეთილ- მდგომარეობასა, რადგან შეეფერება კაცთ-მოყვარულ ინტერესსა, რომელშიაც მზრუნველი მმართებლობა ყოველთვის მონაწილეა. ამის მიხედვით მე არა ვპოვებ დაბრკოლებას, რომ მოვაჭრე პირნი, თუ ისურვებენ, ამას იქითაც შეერთდებოდნენ ხოლმე სამაღლო მოქმედებისათვის, მაგრამ უნდა დაემორჩილნენ კი იმ კანონებსა, რომლებიც სჯულით დაწესებულნი არიან კერძო საზოგადოებათათვის. იმათ შეუძლიანთ ადათის საფუძველზედ განაგრძონ თავიანთი კაცთ-მოყვარული ღვაწლი, მხოლოდ იმ უცვალებელის პირობით კი, რომ ისინი არა რომლისამე მიზეზით და სახით არ გამოვიდნენ ჩვეულებრივის წრედგან და არ გაბედონ არა ვითარიმე შეიწროება აღებ-მიმცემთ თავის-უფლად მოქმედებისა, შეთქმულობით, პირის-მიცემით ან საქონელზედ ფასის დადებით; ესრეთი მოქმედება, როგორც აშკარად წინააღმდეგი სჯულისა და დამარღვეველი საყოველთაო სარგებლობისა, უნდა სასტიკად იდევნებოდეს, და თვით შეკრებილება, რომელმაც მიუშვა ესრეთი გარდახდომა დანიშნულის საზღვრისა, უნდა გაუქმდეს და იმის წევრებს კი კანონით გადახდესთ.

ამის შემდგომ არა ვითარიმე ახალი საზოგადოება და ამქრობა, რა გვარიც უნდა იყოს, ვერ შესდგება, თუ წინათვე დასტური არ გამოითხოვა მთავრობისაგან. ეხლა კი აქაურ ამქრებს რაც ბაირახები აქვსთ, შეუძლიანთ იქონიონ, როგორც იმათი განვლილის საისტორიო დროს სახსოვარი.

თქვენთვის მომინდვია, რომ გამოუცხადოთ ეს ყოველივე, ვისაც შეეხება.

ნამდვილზედ ხელი აწერია: ნამესტნიკი კავკასიისა, გენერალ-ფელდცეიხმეისტერი
„მიხეილ.“

უმთავრესის სამმართველოს ნაჩალნიკი სენატორი, სტატს-სეკრეტარი ბარონი
ა. ნ ი კ ო ლ ა ი.

დირექტორი ნ. ბ ა რ ა ნ ო ვ ს კ ი.

სია ამქრობათა, დამტკიცებულთა საფუძველზედ ახლად გამოცემულის დებულებისა სახელოსნო ამქართ (ცეხთა) გამგებლობისათვის ქალაქ ტფილისში, ჩვენებით იმ კერძოებისა, რომელთაგანაც ისინი უნდა შესდგნენ.

| სახელები დასამტკიცებელ ამქრებისა. | ეხლანდელნი საამქრო საზოგადოებანი, რომელთაც უნდა შეადგინონ დასამტკიცებელი ამქრობა. | რიცხ. იმ ამქ. საზ., რომელნ. ეხლა იმყოფებიან. |
|---|---|---|
| 1 მეპურეები და ბულოჩნიკები. | მეპურეები | 3 |
| | მეფურნეები | 1 |
| | პანდიტორები და ბულოჩნიკები არა აქაურ მკვიდრთაგან, თუ ისურვებენ. | |
| 2 ხარაზები და მექოშეები (საპოჟნიკები და ბაშმაჩნიკები). | ევროპიული მეჩექმეები | 1 |
| | მეწაღეები | 1 |
| | ოსმალური მეჩუსტეები | 1 |
| | ქართული მექოშეები | 1 |
| | ყიზილ-ბაშური მექოშეები | 1 |
| | ფინაჩები | 1 |
| | მექალამნეები | 1 |
| | საპოჟნიკები და ბაშმაჩნიკები არა აქაურთაგანნი, თუ ისურვებენ. | |
| 3 სარაჯები, მეუნაგირეები, მენაბდეები და მატყლის მჩეჩავები. | მეუნაგირეები | 2 |
| | მენაბდეები და მატყლის მჩეჩავები | 1 |
| 4 ქურქჩები და მექუდეები (ჰონები). | ქურქჩები | 1 |
| | ქართული მექუდეები (ჰონები). | 1 |
| | ევროპიული მექუდეები | 1 |
| 5 მკერვლები. | აქაური ტანისამოსის მკერვლები | 2 |
| | ევროპიული ტანისამოსის მკერვლები | 1 |
| 6 დურგლები (სტოლიარები). | ეხლა მყოფნი ამქრები აქაურთ და სხვა ქვეყნის ოსტატთაგან. | |
| | ხარატები. | 1 |
| 7 პარეტნიკები, შპალერის გამკვრელები, პოვოზკისა და ფურგონების მკეთებლები. | პარეტნიკები და შპალერის გამკვრელები, რომელნიც ეხლა შეადგენენ აქაურთ და უცხო ქვეყნის ოსტატთაგან ამქრობა ს, სადაც ეკუთვნიან ჩილინგდრები, კარეტის მხატვრები და ობოიშჩიკები. | 1 |
| 8 მხატვრები და ჰერის დამხურავები. | იმავე ამქრის მხატვრები, რომელთაც მიუდგებიან ჰერის დამხურავებიცა, თუ ამქრობაში შესვლას ისურვებენ. | |
| 9 მესპილენძეები, მჟესტეები და მელამპეები. | ეხლა არიან ამქრები აქაურ მცხოვრებთაგან: | |
| | მეფარნეებისა | 1 |
| | მეტაფეებისა და მექვაბეებისა. | 1 |
| | მკალავებისა | 1 |
| | თოქმაჩებისა | 1 |
| 10 ვერცხლეულისა და ოქროულის საქმის ოსტატები. | ოქრო-მჭედლები | 1 |
| | ბრილიანჩიკები | 1 |
| | იუველირები (ძვირ-ფასის თვლების გამსყიდველი), მესაათები და ბეჭდის მომჭრელები | 1 |
| 11 დალაქები. | დალაქები | 1 |
| | შეიძლება იმათში შეირიცხნენ ოთხი პარიკმახერი არა აქაურთაგან. | |
| 12 მეხანჯლეები. | სახანჯლე და სახმლე ქარქაშის მკეთებლები | 1 |
| | ოქროს სევადის დამკვრელები | 1 |
| | მეკონდახეები და მეჩახმახეები. | 1 |
| | შეიძლება ორი უცხო ქვეყნის ოსტატიც ამათში შეირიცხოს. | |
| 13 მჭედლები და ჩილინგდრები. | მჭედლები | 4 |
| | ქართული წალების მენალეები | 1 |
| | დანების მკეთებლები (ბიჩახჩი). | 1 |
| 14 მლებრები. | მლებრები | 1 |
| | ორს მლებარს არა აქაურთაგანს შეუძლიანთ ამ ამქარში შეირიცხნენ. | |
| 15 მებუზმენტეები და ოქრომკედით მკერავნი. | ყაზაზები და მეოქრომკედეები | 1 |
| | შეიძლება ამათთან შეერთდნენ იმავე ხელობის ოსტატები არა აქაურთაგანნი. | |
| 16 მეჭურჭლეები და მეაგურეები. | მეჭურჭლეები | 1 |
| | მეაგურეები | 2 |
| | სხვა ქვეყნის მეჭურჭლეთაც შეუძლიანთ ამათში შესვლა. | |
| 17 დაბლები. | დაბლები | 1 |
| | მკუპრავები | 1 |

სია სამუშაო არტელებისა (ამქრებისა).

| წოდება დასამტკიცებელ არტელებისა. | ეხლანდელი ამქრები, რომელნიც უნდა შეირიცხნენ დამტკიცებულ არტელებში. | რიცხვი ეხლა მყოფთ ამქ. საზოგადოებათა. |
|---|---|---|
| 1 ხუროები და მხერხავები. | ხუროები და მხერხავები | 7 |
| 2 კალატოზები, ქვის მთლელები, ქვის მჭრელები და კედლის მლესავები. | კალატოზები და კედლის მლესავები | 6 |
| | ქვის-მთლელები | 1 |
| | ქვის-მჭრელები | 1 |
| 3 მუშები. | მუშები | 6 |
| 4 თულუხჩები. | თულუხჩები | 2 |

# პოლიტიკა.

ფრანციის აგენტი ლუქსენბურგში. ლუქსენბურგიდამ იწერებიან: „ეს რამდენიმე დღეა რაც აქ ვილაც ბარონ დე—ბუანი იმყოფება. ადრე ბარონს დე-ბუანს უმსახურნია შინა საქმის სამინისტროში; შემდეგ ვილგელმ—ლუქსენბურგის რკინის გზის დირექტორათ ყოფილა და ამ უკანასკნელს დროს ფრანციის მმართებლობა მიანდობდა ხოლმე საიდუმლო საქმეებს. ბარონმა დე-ბუანმა გაიცნო ბევრი წარჩინებული პირები ლუქსემბურგში იმ აზრით, რომ იმათთან ერთათ მოიფიქროს: თუ როგორ სჯობს ლუქსემბურგის მატერიალურის ინტერესების დაცვა, ვინიცობაა ის რომ ფრანციას შეუერთდეს. ამ საგანზე ბარონ დე—ბუანს მთავრობის პირებთანაც კი ჰქონდა მოლაპარაკება. ბარონ დე—ბუანი თავის მთავრობის პირით მოქმედებს; ამას ამტკიცებს ფრანციის მინისტრის, მარკიზ დე—ლავალეტის წიგნი, რომელიც ბარონ დე—ბუანს თან დააქვს და ბევრ მთავრობის პირებსაც აჩვენა. ეს კაცი ყველას აჯერებს და ავრცელებს ამ ტყუილს ამბავს, ვითომც ლუქსიმბურგის დათმობა ფრანციის თავის დაბოლოვებით გადაწყდაო. ეს ორი კვირაა რაც თითონ ფრანციის აგენტებიც ამისთანა ხმებსა ჰყოიან, მხოლოდ იმ განძრახვით, რომ ლუქსემბურგის ხალხს სულის სიმაგრე წაართვან და არ გამოაცხადებინონ თავისი ნაციონალური გრძნობა.

## ტ ე ლ ე გ რ ა მ მ ე ბ ი,

პეტერბურგში მიღებული.

**ალექსანდრია**, 15 (27) მარტს. ეგვიპტის ვიცე-კაროლის ელჩმა ნუბარ-ფაშამ შეასრულა კოსტანტინეპოლში ის საქმე, რომლისთვისაც ის იყო გაგზავნილი. ოსმალეთის მმართებლობამ ეგვიპტის ვიცე—კაროლს სხვათა შორის ეს დაუთმო: უცხო ქვეყნის სახელმწიფოებთან სავაჭრო ტრაქტატით შეკვრის სიმართლე და სამსაჯულო გასამართლების დამოუკიდებლობა.

**ლუქსემბურგი**, 18 (30) მარტს. აქ პრუსსიის წინააღმდეგი დემონსტრაციები მოხდა.

**ბერლინი**, 19 (31) მარტს. ხვალ დეპუტატი ბენიგსენი რეიხსტაგში ამ კითხვას შეიტანს: პრუსსიის მმართებლობა აპირებს თუ არა ლუქსემბურგის დატოვებას ჩრდილო—გერმანიის კავშირისათვის. თუ მმართებლობა არ შეერევა ამ ძველს გერმანიის მაზრას, ყოველი კაცი, ვისთვისაც გერმანიის სახელი ძვირფასია, მის მხარეს დაიჭერს.

**ბერლინი**, 20 მარტს (1 აპრილს). დღეს რეიხსტაგში გრაფმა ბისმარკმა უ. ბენიგსენს ლუქსემბურგის საქმეზედ უპასუხა, რომ პრუ-

სსიის მმართებლობამ არ იცის, იყო თუ არა ღოლანდიასა და ფრანციას შუა მორიგება ამ საქმეზედ. როცა ღოლანდიამ ჰკითხა პრუსსიას, თუ როგორ მიიღებს ის ლუქსემბურგის დათმობას, მაშინ ჩვენ მიუგეთ, რომ ამ საქმეში პასუხის მგებელი ღოლანდიის კაროლი იქნება მეთქი. პრუსსიის მმართებლობამ არ მიიღო ღოლანდიის შუამავლობა ფრანციასა და პრუსსიას შუა. გრაფმა ბისმარკმა გამოუცხადა, რომ ამ საქმეზედ მეტის თქმა ამ ჟამად შესაძლებელი არ არის; მაგრამ ამასთანავე ის იმედოვნებს, რომ გერმანიის • სიმართლე მშვიდობიანათ იქნება დაცული.

**პარიჟი**, 20 მარტს (1 აპრილს). დღეს შუადღის დროს საქვეყნო გამოფენა გაიხსნა, იმპერატორი ნაპალეონი და იმპერატრიცა ევგენია დაესწრენ გამოფენის გახსნას.

**კოსტანტინეპოლი**, 22 მარტს (3 აპრილს). სულთანმა დიდის პატივის ცემით მიიღო სერბიის მთავარი მიხეილი და უბოძა მას ბრილიანტით შემკული ორდენი „ოსმანიე“.

**ნიუ—იორკი**, 22 მარტს (3 იპრილს). ვაშინგტონის სენატს მმართებლობამ წარუდგინა დასამტკიცებლათ ტრაქტატი, რომლითაც შეერთებული შტატები რუსეთს შეეკრა ჩრდილო ამერიკაში რუსების სამფლობელოს დათმობაზედ.

**ბერლინი**, 23 მარტს (4 აპრილს)- ღოლანდიის მმართებლობამ აფიციალურათ შეატყობინა პრუსსიას, რომ ტრაქტატი ფრანციასთან ლუკსემბურგის გასყიდვაზედ არ შეკრულა თუ პრუსსია თანახმა არ იქნება ამაზედ, არც მოხდება.

დღეს „სახელმწიფო მაჩვენებელში“ დაბეჭდილია კაროლის ბრძანება, რომ პრუსსიის მმართებლობამ ისესხოს 30 მილიონი ტალერი ხუთ პროცენტ ნახევრათ.

**პარიჟი**, 23 მარტს (4 აპრილს). უ. შნეიდერი, სჯულის-დამდების კორპუსის ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტათ დაინიშნა, გრაფის ვალევსკის მაგიერათ.

**ათინა**, 24 მარტს (5 აპრილს.) რიჩიოტტი გარიბალდი იტალიაში წავიდა 150 თანამომგზავრებით. სხვა ქვეყნებიდამ ვოლონტერების მოსვლა კანდიისთვის მოისპო.

**ლონდონი**, 24 მარტს (5 აპრილს). გუშინდელს საღამოს ქვემო პალატის შეკრებულებაში სახაზინო კანცლერმა დიზრაელმა მომავალის წლის ანგლიის სახელმწიფო ბუჯეტი შეიტანა; წარსულის საფინანსო წლის ანგარიშიდამ სჩანს, რომ შემოსავალი სმეტას გადაემატა 2,421,000 გირვანქა სტერლინგით (*). გასავალი სმეტაზე ერთი მილლიონი სტერლინგით ნაკლებია. ახლა წარდგენილის დიზრაელის სმეტით მომავალის საბუჯეტო წლის შემოსავალი გასავალზედ მეტობს 1,200,000 გირ. სტერლინგით. ეს მომატებული შემოსავალი მოიხმარება სახელმწიფო ვალის გადასახდელათ და ხომალდების ბაჟის შესამცირებლად.

(*) ერთი გირვანქა სტერლინგი 6 მანეთს და 28 კაპეიკს უდრის.

**ლამბურგი**, 26 მარტს (7 აპრილს). ყველა გერმანიის ბირჟებზედ, სადაც კი ბირჟების შეკრებულება იყო, ფონდები ძალიან დაეცნენ. ავსტრიის და პრუსსიის ფონდებმა 5—6% დაიწიეს. ვექსილებს არავინ ყიდულობს.

**ბერლინი**, 26 მრტს (7 აპრილს). ალგამბრაში იყო ხალხის კრება, რომელმაც გადასწყვიტა, რომ ლუქსენბურგი არაოდეს არ უნდა გაშორდეს გერმანიას. გერმანიის ხალხის ვალია ყოველივე ღონის ძიება მოიხმაროს, რომ ლუქსენბურგი გერმანიას დარჩეს. უნდა ვეცადოთ, რომ, რაც შეიძლება, ჩქარა შევუერთოთ გერმანიას ლუსქენბურგი.

—უცხო-ქვეყნის მინისტრმა ლორდმა სტენლიმ კატეგორიულად მოითხოვა ისპანიის მმართებლობისაგან, რომ იმან ანგლიის ხომალდი „ვიკტორია“ დაუბრუნოს, რომელიც ისპანიის მოხელეებმა უკანონოთ დაიჭირეს და გადაიხადოს ის ზარალი, რომელიც მიეცა ანგლიის მმართებლობას ამ ხომალდის დაჭერის გამო.

**ფლორენცია**, 26 მარტს (7 აპრილს.) ახალი სამინისტრო შესდგა ამ გვარათ: უ. რატტაცი დაინიშნა მინისტრების რჩევაში პრეზიდენტათ (თავს-მჯდომარეთ) და შინა საქმის მინისტრათ; უ. ფერარისი—საფინანსო მინისტრათ; გრაფი რეველი სამხედრო მინისტრათ; უ. პესკეტტო—ზღვის მინისტრათ; უ. პორრენტი—სახალხო განათლების მინისტრათ; უ. ვისკონტი-ვენოსტა—უცხო ქვეყნის საქმის მინისტრათ. როგორც სჩანს, უ. ტეკკიო დაინიშნება სამსაჯულო მინისტრათ და უ. კამბროდინი სამეურნეო მინისტრათ.

**პარიჟი**, 28 მარტს (9 აპრილს). გაზეთში „Presse“ გამოცხადებულია ლუქსენბურგელების ადრესი ღოლანდიის კაროლთან. ამ ადრესში ისინი ითხოვენ ამ დიდ-საგერცოლოს შეერთებას ფრანციასთან.

**კელნი**, 29 მარტს (10 აპრილს). „კელნის გაზეთში“ დღეს დაბეჭდილია სტატია, რომელიც ამტკიცებს ლუქსენბურგის ციხის დანგრევის საჭიროებას პრუსსიისათვის; თუ რომ ეს ციხე დაინგრა ფრანციაც აღარ ისურვებსო, რომ ლუქსენბურგის დიდი-საგერცოგო შეიერთოს. იმავე გაზეთში აცხადებენ, რომ ძალიან საჭიროაო ჩრდილოეთის შლეზვიგის მცხოვრებლებს ჰკითხონო: სურთ თუ არა პრუსსიასთან შეერთება. ეს მით უფრო საჭიროაო, რომ დანიასთან მძიმე უსამართლოებაში თავი გავიმართლოთო და მოვსპოთო ის უკმაყოფილება, რომელიც ევროპას პრუსსიასთან აქვს.

### ნაცრით ვაზის ავათ-მყოფობის მორჩენა.

რაც საქართველოში ვაზის ავათ-მყოფობა გაჩნდა, ჩემს ბაღში ტფილისში ვაზს არ მოშორებია ეს სენი. ამიტომაც ამ ხუთის წლის წინათ, ჩემს მებაღეს ვუბძანე, რომ სულ ძველი ვაზები დაეჭრა და შეესვენებინა მიწა. ამ მიწაზედ რამდენიმე წლის შემდეგ მსურდა დამერგა ახალი ვაზები. ეს ჩემი ბძანება ჩემმა მებაღემ მთლათ არ აასრულა:—იმან თუმცა დასჭრა ვაზები, მაგრამ ზოგიერთი გაუშვა, რომლებიც ხეივანზედ იდგნენ და აჩრდილებდნენ. 4 წლის შემდეგ რაც მე ვუბძანე, 1865 წლის შემდგომას, მე დავიწყე ახალი ვაზების დარგვა იმ ალაგს, სადაც მსურდა ახალი ვაზი გამეჩინა, შევამუშავე ცხენის სასუქის მაგიერ, ხის ნაცრით, რადგანაც ნაცარი უფრო უმეტესს სასუქს შეიცავს, ვიდრე ცხენის სასუქი.

მინამ ახალ ვაზს დავრგავდი, მოვათხრევინე ბაღში არხები, რომლებსაც ჰქონდათ ნახევარი არშინი სიღრმე და ერთი ჩარექი სიგანე. იმ არხებში დავაწვინე ვაზები და ზევიდგან დავაყარე ნაცარი და ამაზედ კიდევ კარგათ სქლათ მიწა. ზოგიერთი ამ არხებისა ძველ ვაზებთან მოვიდნენ.

1866 წელს, ზაფხულს, შევამჩნიე, რომ იმ ძველ ვაზებს, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში აჩნდებოდათ ავათმყოფობა და არ მოუციათ სალი ყურძენი, ავათმყოფობა აღარ გამოაჩნდათ და მოისხეს სრულებით სალი და კარგი ყურძენი. სხვა ვაზები კი, რომლებთანაც არხები მოშორებით იყვნენ, ადრინდელიევით ავათმყოფობა გამოაჩნდათ და დაისხეს ცუდი ყურძენი. ამ შემთხვევამ მე ძალიან დამაფიქრა.

ყურძნის ავათ მყოფობა არის ძალიან პატარა (მიკროსკოპიული) და ძნელათ შესანიშნავი სოკო (Pelzen) (Oidium), რომელიც გარედგან შემოეკვრება მკვახე ყურძენს და არ აძლევს ნებას, რომ რიგიანათ გაიზარდოს და თავის დროს დამწიფდეს. ამიტომაც ყურძნის მარცვალი, ვიდრე დამწიფდება, სქდება და ფუჭდება.

ნაცარი შეიცავს: 1) სხვა და სხვა ნაწილებს, რომელნიც წყალში არ გაიშლებიან; 2) ნაწილებს, რომლებსაც წყალი ვერ დაშლის, მაგრამ მჟაუეულობა კი დაშლის. მაგალითი: მელი და 3) ნაწილებს, რომლებიც არც წყალში და არც მჟაუეში არ გაიშლებიან, თუ არ ნაცარ-ტუტაში და სოდაში. აი ამ სამ ნაწილებიდგან შესდგება ნაცარი, საიდგანაც ყველა მოსავალი ანუ მცენარე იზრდება.

როდესაც კაცის სხეულს მოაკლდება ის ნაწილები, რომელნიც აძლევენ ყუათს, მაშინვე ამის გავლენა გარედგან გამოაჩნდება და ტანზე დააყრის ხოლმე მუწუკებივით. აგრეთვე, როდესაც დედამიწას მოაკლდება ხოლმე ის ნაწილები, რომლებიც მალე იშლებიან, დაასუსტებს ხეხილის გაზდას და უეჭველია, რომ აქედგან წარმოსდგება ის სოკო, რომელიც ვაზს აჩნდება.

მე ბეჯითად არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჩემი ნაცადი უებარი წამალი იყოს ვაზისა და უეჭველათ მოარჩენდეს იმის სნეულებას, მაგრამ როგორც შემთხვევამ გვიჩვენა, ვგონებ, შესაძლებელი იქნება ამ საშუალებით, თუ რომ ვაზი სრულებით არ მორჩა, შეღავათი მაინც მიეცეს. ამიტომაც ვთხოვ ყველა ვენახების პატრონებს, რომ, რადგანაც ამის ცდაზედ მაგდენი ხარჯი არ წავა, სცადონ ეს რჩევა, რომ მე თვითონვე შევიტყო, საიდგან წარმოსდგა ზემოხსენებული შემთხვევა ჩემს ბაღში. (*)

ნ. შ.

(*) რედაქცია თავის მხრით სთხოვს ყველა ვენახების პატრონს სცადონ ეს რჩევა და თავიანთი ცდა შეატყობინონ რედაქციას,—აი ამ აზრით სახალხოთ აცხადებს ის ამას. რედაქციას ჰგონია, რომ ეს ცდა შესაძლებელი იყოს, უმეტესათ ამიტომ, რომ რამდენსამე ვენახის მქონებლებს კახეთში უთქვამთ, რომ ვითომც იქ ყოფილიყოს რამდენიმე მაგალითი, ნაცრით ვაზი მოერჩინოთ; მაგრამ თავი არ დაუდვიათ და რიგიანად არ აუსრულებიათ ეს საქმე.

### 1867 ახალს წელს.

მოველ მშვიდობით, ახალო წელო,
და მოგვიტანე ახალი ბედი;
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ჩინებული გაქვს პირველი წყება,
განდევნა . . . . . . წესდებაების;
მონებისაგან გამოყვანება
დღემდის . . . . . . საწყალის ყმების.
რა მოახლოვდი მყის მოაფინე
ახალი სული მოძრაობისა;
. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .
ძალა მოეცა მოყვასთ ძმობასა.
ურა! კეთილო ახალო წელო,
ურა! დროებავ . . . . . . . . . .
შენ ყოველთათვის კეთილ მსურველო,
ურა! მოსარჩლევ დაცემულების.
მაგრამ ერთსაც გთხოვთ ამ ჩინებულს გზას
ნულარ გადუხვევ, მტკიცედ მისდიე;
განუვრცე ველი შენს მოქმედებას,
გარდაბიჯე საზღვარს, გასწიე. . . . . . . . .

ფაზელი.

### სახაზინო განცხადება.

(Закавказскій Вѣстникъ № 29).

2) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში მოხდება ტორგი 24 აპრილს 1867 და პერეტორჟკა სამის დღის შემდეგ, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქუთაისის პრავიანტის მაგაზინის შენობის შეკეთება. ამ სამუშაოსათვის გადადებულია 966 მან. და 5 კაპ.

3) კავკასიის სამხედრო ოკრუგის საინტენდანტო სამმართველოში მოხდება ტორგი 25 აპრილს 1867 წლისა და პერეტორჟკა სამის დღის შემდეგ, რომელზედაც იჯარით გაიცემა 200 ფიჭვის ხის დამზადება ტფილისის პრავიანტის მაგაზინისათვის. ამ ხეებს უნდა ჰქონდეთ 4 საჟენი სიგძე და 6 ვერშოკი სისქე.

### კერძოობითი განცხადება.

სოფელს ოქროყანაში ქირით მისაცემია საზაფხულო სახლი, რომელიც ეკუთვნის ტატო გაბაშვილს. ვისაც სურს ამ სახლის ქირა შეიტყოს, იმან უნდა იკითხოს ვერაზედ, მოსკოვის ზასტავასთან, თვით გაბაშვილის სახლში.

### საბიბლიოგრაფიო ცნობა.

მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, გალავინის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში იყიდება:

**ქართული ანბანი**, შედგენილი პ. უმიკაშვილისაგან. მესამე გამოცემა. ფასი ერთი შაური.

**ამბები ძველის დროების ხალხებზედ**. ფასი სამი შაური.

**არითმეტიკა**. ფასი სამი შაური.

**სიბრძნე სიცრუის წიგნი**. საბა-სულხან ორბელიანისა. ფასი ათი შაური.

**კალმასობა**. პირველი ნაწილი. ფასი ორი მანეთი.

**საქართველოს ისტორია**. თეიმურაზ ბატონიშვილისა. ფასი ერთი მანეთი.

**სახელმძღვანელო** რუსულის ენის სასწავლებლად ქართველ ახალ-მოსწავლე ყმაწვილებისათვის. შედგენილი ზ. კ—შვილისაგან. ფასი 1 მანეთი და ხუთი შაური.

**თ. გიორგი დავითის ძის ერისთვის** თხზულება. ავტორის პორტრეთით. ფასი ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახლად შედგენილი **ქართული ამბანი და პირველი საკითხავი წიგნი** მოსწავლეთათვის. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. ფასი ორი შაური, ხუცური ანბანით სამი შაური.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го апрѣля 1867 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. რედაქტორი გ. წერეთელი. გამომცემელი ს. მელიქიშვილი.